მიზანი – თასი!

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 2 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) 2:1 (0:0, 0:0, 1:0, 1:1).

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, ასათიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, ყიფიანი, წერეთელი.

კიევი: რუდაკოვი, კუზნეცოვი, მატვიენკო, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, კონკოვი, ბურიაკი, კოლოტოვი, კოჩუბინსკი, ვერემეევი.

მსაჯი: ე. ლიპატოვი (მოსკოვი).

თბილისის “დინამოს” გამარჯვებას სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში კიეველ თანაკლუბელებთან ძალიან დიდი ნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ ფაქტის თვალსაზრისით, რომ ჩვენმა გუნდმა ამ პოპულარულ შეჯიბრებაში კიდევ ერთი საფეხურით წაიწია წინ და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. რა თქმა უნდა, თავისთავად ეს სერიოზული წარმატება და თვალსაჩინო მიღწევაა, მაგრამ თბილისის “დინამოსთვის” არც ნახევარფინალია უცხო ხილი და არც ფინალი. ამიტომ, ამ წარმატებასაც სხვა დროს, შეიძლება, ჩვეულებრივი, ორდინარული ხასიათი ჰქონოდა, ახლა კი ჩვენ სულ სხვა თვალით, პერსპექტიული, საპრობლემო საზომით ვუდგებით საკითხს, ვინაიდან სადღეისოდ შექმნილ ვითარებაში ცალკეული მატჩების მოგება–წაგებას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც ჩვენი გუნდის აღორძინებასა და ღრმა კრიზისიდან თავის დაღწევის აქტუალურ საქმეს.

კიევის “დინამო” კარგა ხანია საბჭოთა ფეხბურთის უპირველესი გუნდი და ეტალონია. მასთან შეხვედრისას ყოველი კოლექტივი თავისებურ გამოცდას აბარებს, ამოწმებს თავის შესაძლებლობებს, ძალას, ფორმას. ჩემპიონატის სტუმრად ჩატარებულ მატჩებში ჩვენ არაერთხელ გვინახავს ტელევიზიით, როცა კიეველები მუდამ არ თამაშობენ სრული დატვირთვით და ფაქტიურად თითო ქულას სჯერდებიან, რასაც, როგორც წესი, საკმაოდ იოლად, ძალდაუტანებლად აღწევენ. ესაა მათი თამაშის ეგრეთ წოდებული გასვლითი ტაქტიკური მოდელი, წინასწარ შემუშავებული, დაგეგმილი სქემა, მაგრამ ჩემპიონატი ერთია, თასი კი – სულ სხვა. ქულის გარანტია და მასზე აგებული სპეციფიკური ტაქტიკა აქ ყოველნაირად გამორიცხულია, ალტერნატივაც ასეთია – ან უნდა მოიგო, ან არადა, სულ ცოტა, ერთი წლით გამოემშვიდობო ბროლის ძვირფას თასს, რომელიც კიევის სპორტულ მუზეუმშია გამოფენილი თვალსაჩინო ადგილას, ესე იგი ჩემპიონებს უნდა ეთამაშათ ისე, როგორც შეეძლოთ – მთელი ძალით, მთელი შესაძლებლობით.

როცა კიევის “დინამო” მინდორზე გამოვიდა, ჯერ კიდევ გამოცხადებამდე, მაყურებლებმა შეამჩნიეს, რომ მას აკლდა სამი საუკეთესო მოთამაშე: ბლოხინი, ონიშჩენკო და მუნტიანი. ეს სამეული, ცხადია, დიდი ძალაა გუნდისთვის, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ კიეველებს საიმედო “გრძელი სკამი” აქვთ, რომელიც მწვრთნელებს საშუალებას აძლევს თითქმის უმტკივნეულოდ მოახდინონ ნებისმიერი მანიპულაციები შემადგენლობაში და არ დაამჩნიონ გუნდს იძულებითი ცვლილებანი.

თამაშის დასაწყისი ერთი შეხედვით ნელა, ფრთხილად მიმდინარეობდა, მაგრამ მისი ნამდვილი დინამიზმი და დაძაბულობა ხშირად იგრძნობოდა. თბილისელებმა

შეძლეს უპირატესობის მოპოვება, შუა მინდორში მიაღწიეს უპირატესობას, რასაც კიევის "დინამოსთან" შეხვედრაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მასპინძელთა ნახევარდაცვის ხაზი მოქმედებდა ყურადღებით, ზუსტად, მოფიქრებულად. ქორიძე, მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი შუა მინდორში არ აძლევდნენ საშუალებას მეტოქეს გაეშალა თავისი ცნობილი კომბინაციური თამაში, გაემზადებინა პლაცდარმი შეტევისთვის. ამის შედეგად კიეველებმა დაკარგეს თავიანთი მთავარი იარაღი. ქათინაურები ჩვენი ნახევარმცველების მიმართ ზედმეტად მიგვაჩნია. ისინი ყოველგვარ ქებაზე მაღლა იდგნენ. მაჩაიძე თამაშობდა ვრცელ ტერიტორიაზე, მისი ნეიტრალიზაციისთვის ბრძოლაში სტუმრებმა აშკარა მარცხი განიცადეს; ქორიძე მუდამ მზად იყო დაზღვევისთვისაც და კონტრშტევისთვისაც, ხოლო ასათიანმა გუნდს დიდი სამსახური გაუწია თავისი მახვილი, გონივრული კომბინაციური გადაცემებით. ნახევარდაცვის ასეთმა კვალიფიციურმა, ოსტატურმა თამაშმა დიდი როლი შეასრულა წარმატების მოპოვებაში.

ვერაფერი გააწყვეს კიეველებმა შეტევაშიც. ძოძუაშვილი, ჭელიძე და ებრალიძე ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებდნენ მოფიქრებულად, უპანიკოდ, შეთანხმებულად, ხოლო ხიზანიშვილმა ნათლად გამოავლინა თავისი შესანიშნავი მონაცემები. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გოგიას ღვაწლიც. მან საიმედოდ დაიცვა თავისი კარი იმ მომენტებში, როცა წაგების პირას მყოფი კიეველები თავს არ ზოგავდნენ მდგომარეობის სახსნელად.

თავდაპირველად რამდენადმე პასიურობდა წერეთელი, მაგრამ შემდგომ მან შეძლო მობილიზება, სრული ძალით ჩაერთო ბრძოლაში და კიეველთა მეკარეს რამდენიმე ძალიან უსიამოვნო მომენტის გადატანა მოუხდა მისი დარტყმების წყალობით. გუნდის ერთ–ერთი ცენტრალური ფიგურა იყო ყიფიანი, რომლის სამოქმედო დიაპაზონი არ შემოიფარგლებოდა გარკვეული ზონით, იგი ნახევარმცველიც იყო, თავდამსხმელიც, ხოლო მის მიერ ბრწყინვალედ გატანილ გოლს ხელს მოაწერდა რომელიც გნებავთ საერთაშორისო კლასის ოსტატი.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია გუცაევი. მის წინააღმდეგ ჩემპიონები ვერაფერს გახდნენ, ვერც ინდივიდუალურ, ვერც კოლექტიურ ბრძოლაში. ისეთმა გამოცდილმა სტოპერმაც კი, როგორიც მატვიენკოა, ყოველგვარი საშუალება სცადა მის წინააღმდეგ, ბოლოს უხეშობის სამარცხვინო ილეთებზეც გადავიდა, გუცაევი კი კვლავ და კვლავ არღვევდა მცველთა რიგებს კიეველთა საჯარიმო მოედანზე. ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ, თუ გუცაევმა ასე ითამაშა საერთოდ, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებს არ დასჭირდებათ თავის მტვრევა მარჯვენა გარემარბის შესარჩევად.

მატჩის დიდი ნაწილი, უდავოდ, თბილისელთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა. ძალიან დაძაბულ, შინაარსიან, რთულ ბრძოლაში მათ თავიანთი ტაქტიკა მოახვიეს თავს მეტოქეს და აიძულეს იგი უარი ეთქვა თავის ნაცად კომბინაციურ თამაშზე. კიეველები ფაქტიურად მხოლოდ წინააღმდეგობას უწევდნენ მასპინძლებს თავიანთს ნახევარზე და საპასუხოდ მხოლოდ კონტრშეტევის ცალკეული ეპიზოდები ჰქონდათ.

ანგარიში გაიხსნა დამატებითს დროში, 94–ე წუთზე. ქორიძემ დაახლოებით 20–22 მეტრიდან დაარტყა, რუდაკოვი დაიბნა და ვერ შეძლო ბურთის აღება. 109–ე წუთზე კიეველებმა მაინც შეძლეს თავიანთი ტიპური კომბინაციის განხორციელება და წამით ღიად დარჩენილმა კოლოტოვმა ზუსტად დაარტყა ბადეში ვერემეევისგან მიღებული

ბურთი, მაგრამ ამას მაშინვე მოჰყვა გუცაევის სწრაფი გარღვევა, მან ყიფიანთან გაითამაშა ბურთი და ამ უკანასკნელმა რუდაკოვს არ დაუტოვა კარის ხსნის რაიმე შანსი.

თბილისის "დინამო" ნახევარფინალში გავიდა და ახლა მისი მიზანია თასის მოგება. ეს მნიშვნელოვანი მიღწევა, აგრეთვე, საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებული გარკვეული წარმატებები საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ გუნდი თავს აღწევს საკმაოდ ხანგრძლივ კრიზისს და უბრუნდება თავის საბრძოლო ფორმას.

ბ. ქორქია.
"ლელო", 5 ივლისი 1975 წ.